საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №93
2018 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) სამსახურის უფროსის სამდივნო.“.

2. 17^7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^8 მუხლი:

„მუხლი 17^8. სამსახურის უფროსის სამდივნო

სამსახურის უფროსის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) სამსახურის უფროსის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ბ) სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სამსახურში არსებული სათათბირო ორგანოების სხდომების დადგენილი რეგლამენტით ჩატარების ორგანიზება, მათი გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა და ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;

გ) სათათბირო ორგანოების სხდომების კალენდრის შედგენა და წევრების ინფორმირება;

დ) სათათბირო ორგანოების სხდომის დღის წესრიგების მომზადების უზრუნველყოფა, წევრებისგან/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისაგან საკითხების/განსახილველი მასალების გამოთხოვა და შესაბამისი პირებისათვის წინასწარ გაგზავნა;

ე) სათათბირო ორგანოების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების ოქმების წარმოება და უფლებამოსილი პირებისთვის გაგზავნა;

ვ) სათათბირო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი;

ზ) სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციის დამუშავება;

თ) პროტოკოლის წარმოება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

კ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **მამუკა ბახტაძე**